№ 45
სამშაბათი, 27 თებერვალი 1896

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომე —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№45
სამშაბათი, 27 თებერვალი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

**ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის** გვამის გელათის მონასტერში გადასვენება და დაკრძალვა დიდის თოვლებისა და უგზოების გამო 10 მარტისათვის იქმნა გადადებული.

**კნ. ბარბარე მერაბის ასული** და **ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისანი, კნ. მარიამ არჩილის ასული წერეთლისა** და **თ-დი მალხაზ არჩილის ძე ანდრონიკაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა პირველის ძისა, მეორის მეუღლისა, ხოლო დანარჩენთ ძმისა **თავადის სოლომონ არჩილის ძის ანდრონიკაშვილისა** დანიშნულია 2-ს მ[...]ს და სთხოვენ მათ დაესწრნენ წირვასა, რომელიც გარდახდილ [...]ბა სოფ. ქოდალოში, სიღნაღის მაზრაში.

(2—24—1).

## ახალი ამბავი

—

*** ქალაქის მილის წყალი დღემდე ჩაბარებული ჰქონდა ინჟინერს მამოილოვიჩს, რომლი მოვალეობაც იყო თვალყური სჭეროდა ავჭალის საშინებსა და შენობებზედ. როგორც ჩვენ გვატყობინებენ, ბ-ნი სამოილოვიჩი მიიწვია ყარაიაზის ამხანაგობამ სარწყავ არხის ზედამხედველად. ამის გამო ბ-ნმა სამოილოვიჩმა არზა მისცა ქალაქის გამგეობას და სთხოვა განმათავისუფლეთ სამსახურიდამაო. გამგეობამ თხოვნა შეიწყნარა და ბ-ნ სამოილოვიჩის ადგილზედ დანიშნა ტეხნოლოგი ეგიაზარიანცი, რომელიც დღემდე იყო ქალაქის საბჭოს ხმოსანი. ამასთანავე, რადგანაც ხმოსანს არა აქვს უფლება ჯამაგირიანი ადგილი ეჭიროს ქალაქის გამგეობის ხელქვეით, ამის გამო ბ-მა ეგიაზარიანცმა ქალალდი მისცა ქალაქის მოურავს მასზედ, რომ იგი თავს ანებებს ხმოსნის მოვალეობას. პირველ მარტამდე ბ-ნმა სამოილოვიჩმა უნდა ჩააბაროს ყოველივე კუთვნილება ავჭალის მილის წყლისა ახალს გამგეს ბ-ნ ეგიაზარიანცს.

*** ამას წინედ ქალაქის გამგეობამ წარუდგინა მოხსენება საბჭოს, რომ, რადგანაც ინსტრუქციის ძალით ქალაქის უფროსი ინჟინერი უნდა დანიშნულ იქმნეს ადგილზედ გამგეობისა და ხმოსან ტეხნიკოსების თანხმობით და რადგანაც ეს ორი ორგანო თვითმართველობისა ვერ შეთანხმებულან კანდიდატის შესახებ, ამიტომ საჭიროა გამოიცვალოს ინსტრუქცია და მხოლოდ გამგეობას მიეცეს უფლება თავისს სურვილისამებრ მოიწვიოს ინჟენერი, მით უმეტეს, რომ ინჟენერის მოქმედებაში პასუხის მგებელი მარტო გამგეობა არისო. საბჭომ შეიწყნარა მოხსენება და ინჟენერის მოწვევა მიანდო მხოლოდ გამგეობას. ამის და მიუხედავად, ქალაქს დღემდე არა ჰყავს უფროსი ინჟენერი, თუმცა მთხოვნელები საკმარისად ბევრნი არიან. ამისი მიზეზი იქნება ისიც იყოს, რომ გამგეობა ეჭვობდეს უფროს ინჟენერის ადგილის საჭიროებას. მართლაც, რა ისეთ აუარებელ შენობების პატრონია ქალაქი, რომ ხუთი-ექვსი უმცროსი ინჟენერი ვერ აჰსვლოდეს მათ და აუცილებელი იყოს განსაკუთრებული ხელმძღვანელი, ანუ უფროსი ინჟენერი, რომელმაც წელიწადში ოთხას თუმანზე მეტი ჯამაგირი უნდა იღოს ღარიბ-ღატაკ ქალაქის ჯიბიდამ.

*** სტავროპოლიდამ გვატყობინებენ დეპეშით: აქაურმა ქართველებმა დღეს, 25 თებერვალს, პანაშვიდი გარდაიხადეთ და ცრემლით შევევედრეთ უზენაესს, რათა სასუფეველი ცათა დაუმკვიდროს სულსა განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისას, რომელიც სრულიად სამართლიანად იწოდება ე'ის სინიდისათ, «ქართველთა ოქროპირად» სამაგალითო ქადაგებებისათვის და „დიდ ჰყონდიდელად“ წმიდის ცხოვრებისა და ადმინისტრატიულ მოღვაწეობისათვის. პესაკაძე.“

*** დ. ხონი: მარად დაუვიწყარის მღვდელ-მთავრის გაბრიელის გარდაცვალების ამბავმა აქ განუსაზღვრელი მწუხარება დაბადა და დიდად დაანაღვლა ხალხი. 28 იანვარს, როცა განსვენებულის სახელზედ წირვა აღასრულეს აქაურს საკრებულო ეკკლესიაში და წირვის შემდეგ პანაშვიდიც გადახდილ იქმნა, ხალხი დიდძალი დაესწრო. ხალხი დაესწრო თვით იმ მცირე პანაშვიდს, რომელიც კერძოდ გადაიხადა იქაურ საეკ.-სამრევლო სკოლამ. მოკლე სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულ მღვდელ-მთავარზედ აქაურმა ბლ. მღ. ე. მაჭარაძემ.

*** სოჩი: 17 თებერვალს სოჩის მთავარ ანგელოსის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე დაესწრნენ აქ მცხოვრებნი ქართველები და ადგილობრივი მოხელენი (რუსნი).

*** იქიდამვე: წრეულს აქაც დიდი ზამთარია. 10 იანვრიდამ 10 თებერვლამდე თითქმის განუწყვეტლივ თოვდა; ზოგან ერთ საჟენამდე თოვლი სძევს.

## კორესპონდენცია.

—

**ს. ქუხი.** სწორეთ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენს სოფელში, ბ-ნ ნ. წერეთლის მეცადინეობით დაარსდა ამხანაგობა, რომელსაც სახელათ ეწოდება „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთ. გუბერნიაში“. ჯერ ჩვენს ქვეყანაში არც ერთი ამხანაგობა არ დაარსებულა, რომელსაც ასეთი მგზნებარე და ენერგიული მოქმედება გამოეჩინოს, როგორიც გამოიჩინა ხსენებულმა ამხანაგობამ ამ ერთად ერთის წლის განმავლობაში. თავისი მოქმედება ამხანაგობამ დაიწყო იქიდამ, რომ რაც შეიძლებოდა ეცადა, რათა მოეპოვებია ხალხისათვის საღი და კარგის თვისების თესლი, რომელიც კიდეც შეასრულა და ამას ზედ მოჰყვა მოსალოდნელი შედეგი: არც ერთს წელს არ მოსულა ჩვენში იმდენი აბრეშუმი, როგორც წარსულს წელში და ეს-კი სულ კარგის ჯიშის თესლის წყალობით მოხდა. ხალხმა აბრეშუმი ბლომად მოიწია და ეხლა ამხანაგობა ეცადა, რათა კარგ ფასებშიაც გაესაღებინა მათის შრომით მოწეული საქონელი, რისთვისაც ამხანაგობამ, როგორც აზრადა ჰქონდა, თვითონ დაიწყო ხალხისაგან აბრეშუმის პარკის ყიდვა ძლიერ კარგ და ზომიერ ფასებში. ხალხი ძლიერ მადლიერი დარჩა ამხანაგობისა და თავისის ბედისა, რომ მათმა შრომამ და მეცადინეობამ ფუჭად არ ჩაიარა და ზომიერი სასყიდელი მიიღეს. მხოლოდ ვერ დარჩნენ თავიანთ ბედის მადლიერნი „ჩარჩ-ბაყაცები“, პირში ჩალა გამოვლებულები გაისტუმრა ამხანაგობამ თავიანთ სახლში. თავისს მოკლე დროის არსებობაში ამხანაგობამ გამოიწერა რამოდენიმე საღები და საქსოვი მანქანა, შეიძინა საკუთარი სახლი დიდის გზათი, სადაც გამართულია ამხანაგობის ქარხანა, რომელშიაც ამ ჟამად რუსეთიდამ ჩამოყვანილი მცოდნე პირის მეცადინეობით, იქსოვება აბრეშუმის სხვა-და-სხვა ფარჩეულობა. თქვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდესაც ხედავთ თქვენის ქვეყანის, სადღაც მივარდნილს სოფელში, ასეთი ლამაზი და შნოიანი აბრეშუმის ფარჩა იქსოვება, როგორიც სანიმუშოდ მოუქსოვია ამხანაგობას თავისს ქარხანაში. ის რაც შეუძლებლათ მიაჩნდათ ჩვენში ზოგიერთებს, თურმე შესაძლებელი ყოფილა. დიახ, ჩვენშიაც შე-

## ფელეტონი

[...]

დაემართ[...] მარად სახსოვარ სახელი იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გაბრიელისა?

[...]ლი სალ[...]

ბლომა[...]ნათლებულ ერთა ქვეყნებში მიღებულია, რომ დიდებულნი, გამოჩენილნი პირნი ამა თუ იმ ერისა, საზოგადო მოღვაწენი, შესანიშნავნი მწერალნი რითიმე განასხვავონ სხვა ჩვეულებრივ ადამიანთაგან, დასდონ მათ განსაკუთრებულის ღვაწლისათვის ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებულივე პატივი, მარად ჰყონ მათი სახელი და მომავალ თაობათ გარდასცენ მათზე ცნობანი. ეს ასეც უნდა იყოს: ღირსეული და ღვაწლ-მოსილი მამული შვილი რომელიმე ქვეყნისა ღირსეულადვე უნდა ჰფასდებოდეს და, მაშასადამე, მის სახელს მეტის მოწიწებით, მეტის პატივისცემით, ვიდრე ეს ჩვეულებრივ გვამთა ხვედრია, უნ და იხსენიებდეს ყოველი. ამიტომაც არის, რომ დაწინაურებულ ქვეყნებში ჩვეულებათ აქვთ ამგვარ პირთ სამსახურის დაფასება არა მარტო სიკვდილის შემდეგ, არა, რამ ეენადაც შეიძლება თვით იმათ სიცოცხლეშივე. მართალია, უფროს-ერთ შემთხვევაში თანამედროვე შთამომავლობა ვერ აფასებს, როგორც რიგია, სამართლიანად თავიანთ რჩეულთა პირთა, მაგრამ არც ისე დავიწყებული, უყურადღებოდ მიტოვებულია მათი მოღვაწეობა. ჩვენ ვიცით, რომ ამგვარ ამა თუ იმ სფერაში გამოჩენილ პირთა სახელის სადიდებლად მათ სიცოცხლეშივე იმართება მრავალნაირი სამეცნიერო თუ სხვა გვარი დაწესებულებანი, აარსებენ სკოლებს, სტიპენდიებს და სხ. და სხ. ევროპამ იცის რამდენიმე მაგალითი, სიკვდილამდე ძეგლის აგებისაც-კი. შემჩნეულია ამასთანავე, რომ რაც უფრო განვითარებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც უფრო მაღლა სდგას კულტურით რომელიმე ერი, მით უფრო ჯეროვანად, სამართლიანად ჰფასდება ღვაწლი გამოჩენილის მამულიშვილისა, მით უფრო მეტია პატივი მათ სახელისადმი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მცირედ განვითარებულ საზოგადოებაში საზოგადო სარბიელზე მოღვაწეობა უფრო ძნელია, მრავალის დაბრკოლებანით შეზღუდულია, ვიდრე ეს მაღალ კულტურის ქვეყნებში ხდება. რა არის იმის მიზეზი, რომ იქ, სადაც შრომაც მეტი სჭირია საზოგადო მოღვაწეს, მისი სამოქმედო ასპარეზი ღვარძლით და ეკლით სავსეა, იგი გაუგებარი რჩება, ჯეროვან პატივსა და ფასს მოკლებულია, მაშინ როდესაც იქ, სადაც პოლიტიკური წეს-წყობილება სამართლიანია, ხალხი თავისუფალია, ცხოვრება უფრო ადამიანურია და ადვილია, საზოგადოება განვითარებულია, მწერლობა ვიწრო ჩარჩოში არ არის ჩაყენებული, იქ ყოველ საზოგადო მოღვაწეს თავისს ღვაწლისა და ღირსებისამებრ აფასებენ, მისი სახელი დიდებაშია, იგი თავისს საქვეყნო სამსახურისათვის ნივთიერად თუ სხვებრ ჯილდოვდება და სხ. და სხ.? მიზეზი მდგომარეობს საზოგადოებრივ ცხოვრების განუვითარებლობაში, საზოგადო მოღვაწის შრომის შეუგნებლობაში, იმ გარემოებაში, რომ დაბალ განვითარებას და თავისუფლებას მოკლებულ ქვეყნებში საზოგადოებას შეადგენენ უმეტესად ისინი, რომელთაც საზოგადო სამსახური ჩირადაც არ მიაჩნიათ, რომელთაც „ლობიოს მოსახარშავი ქოთანი“ ყველაფერს ურჩევნიათ, საზოგადო საქმესაც და საზოგადო კეთილდღეობასაც...

ავიღოთ თუნდ ჩვენი ქვეყანა. ჩვენში სადაც ბეჭდური სიტყვა საშინელის ბორკილებით შებოჭვილია, სადაც საზოგადო წეს-წყობილება ისეთია, რომ მოკლებულნი ვართ ადამიანის განმავითარებელ დაწესებულებათ, პოლიტიკური მდგომარეობაც ჟამთა ვითარების გამო შეცვლილია, სადაც თითქმის ყოველი საზოგადო მოღვაწე დამწყებია და არა განმგრძობი დაწყებულ, მზამზარეულ საქმისა, სადაც იგი იძულებულია გასწიოს დიდი შრომა, არა იშვიათად თვით სიცოცხლეც-კი შესწიროს, რომ რაიმე საზოგადო საქმე შექმნას ან დაუდვას მას საფუძველი, განა ამისთანა პირობებში საზოგადო მოღვაწეობა ერთი-ორად არ უნდა ჰფასდებოდეს, ვიდრე იქ, სადაც მზგავსივე მოღვაწეობა უფრო ადვილი საქმეა? განა ქველ-მოქმედება, მაგ., იმ ქვეყანაში, სადაც მრავალი სიმდიდრეა და ქველ-მომქმედნიც დიდი შეძლების პატრონნი არიან და ქველ-მოქმედება ჩვენში, სადაც დიდი უმეტესობა მეტად ღარიბია და თვით ქველ-მომქმედნი— ორიოდე გროშის პატრონნი, ერთი და იგივე ტვირთია, ერთნაირად დასაფასებელია? განა ღრმა განათლების მოპოვება და მისი გავრცელება იქ, სადაც თითქმის ყველაფერი განათლებაზედ დამყარებულია და ჩვენში, სადაც განათლების სხივი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, განა ერთნაირად ადვილია? თუ ეს ასეა, მაშასადამე, მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენში ყოველ-გვარ საზოგადო სამსახურს დიდი პატივი სდებოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც საზოგადოებრივ ცხოვრების განუვითარებლობის გამო თითქო განგებ სრულიად წინააღმდეგ მოვლენას ვამჩნევთ. შორს ნუ წავალთ და ავიღოთ უახლოესი მაგალითი.

რით შევამკეთ ახლად გარდაცვალებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის, ამ ჩვენთვის დიდებული ადამიანის სახელი მის სიცოცხლეში? მხოლოდ მცირეოდენის პატივით: დავაარსეთ ერთი სასწავლებელი მის სახელობაზედ და ვუწოდეთ ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი. ეს იყო და ეს. რომ ღრმად ჩავაკვირდეთ და გავითვალისწინოთ ცხოვრება და მოღვაწეობა აწ განსვენებუ-

სამღებელი ყოფილა სხვა-და-სხვა ფე-რის, სხვა-და-სხვა სახიანი ფვარჩეულობის გამოყვანა, თუ საქმისადმი სიყვარული, გულშემატკივრობა, მუყაითობა და გულდადება იქმნება!

დიდს აღტაცებაში მოგვიყვანთ აგრეთვე აბრეშუმის ქარხანაში მომუშავე სოფლის გოგოები, რომელნიც ქსოვის შესასწავლად დაიარებიან ქარხანაში და რომელთაც ცოტაოდნად კიდეც შეუსწავლიათ ქსოვის საქმე, რისთვისაც ყოველ დღიური გასამრჯელო ფასიც ეძლევათ ქარხნიდამ. ასე მაღლა დგას ჩვენის სოფლის გლეხას გონება, რომ მას შეუძლიან ყველაფერი მალე და გაუჭირვებლად შეითვისოს, თუ მას თქვენ მაგალითს დაანახვებთ, საქმეს აჩვენებთ და არა ცარიელის სიტყვებით გამოუშვედავთ ყურებს. ასეთი ნაბიჯი წადგა წინ ჯერ კიდევ ჩვენმა ნორჩმა ამხანაგობამ. როგორც მის წლიური ანგარიშიდამ სჩანს, თითო წევრს ამ ერთის წლის მოგებიდამ 30% ნამდვილი მოგება ჰხვდა. ამ ჟამად ამხანაგობას სულ ექვსასამდე წევრი ჰყავს. როგორც გავიგეთ, ამა წლის ხუთ მარტს უნდა შესდგეს ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება. კრებამ უნდა მოისმინოს შემდეგი საგნები: 1) ანგარიში წარსულის 1895 წლისა და დამტკიცოს; 2) დაამტკიცოს 1896 წლის სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა; 3) მოხსენება, თუ როგორ უნდა გაავრცელოს ამხანაგობამ თავისი მოქმედება სხვა ადგილებშიაც; გამოსცეს, თუ არა, კიდევ მეტი წილის ბარათები და სხვ. ამ 1896 წლისთვის ამხანაგობა სცდილობს შეიძინოს საუკეთესო თესლი 2000 კოლოფამდე, რის შესახებაც მოლაპარაკებაც აქვს გამართული სხვა-და-სხვა ფირმებთან და ამასთანავე ფიქრობს გაავრცელოს თავისი მოქმედება იმ ადგილებშიაც, სადაც ყოველ წლობით უხვად იცის აბრეშუმის მოსავალი. სწორედ მოსაწონია ეს აზრი ამხანაგობისა და მალეც ეჭირვება მას განხორციელება, რადგანაც «ჩარჩ-ბაცაცების» წყალობით უფასოდ ეცლება ხალხს ხელიდამ ცხოვრების ერთი საუკეთესო სახსართაგანი. იმედია ამხანაგობას ამ საქმეში ყველგან დაეხმარება ადგილობრივი ინტელიგენციაც.

ივანე გორდაძე.

20 თებერვალი, 1996 წ.

# უცხოეთი

**ეგვიპტის საქმე.** ოფიციალური ინგლისური ორგანოები უარ-ჰყოფენ, დანარჩენი ევროპიელი ჟურნალ-გაზეთები-კი ამტკიცებენ, ეგვიპტის შესახებ კითხვაა აღძრულიო. გერმანული გაზეთები-კი ირწმუნებიან, ამ საქმის შესახებ საიდუმლო მოლაპარაკებაა პარისისა და ლონდონის კაბინეტთა შორისო და საფრანგეთის ელჩს ლონდონში, მარკიზ დე კურზელს, რამდენიმეჯერ თათბირიც ჰქონდა ამ საქმის თაობაზე მარკიზ სოლისბიურისთანო.

ქაიროში ამ ჟამად სტამბოლელი საფრანგეთის ელჩი კამბონი და ამ გარემოებას ჟურნალ გაზეთობა სხვა-ნაირად უცქერის, თუმც გამოცხადებულია, კამბონი თავისი ავადმყოფი ცოლის მიზეზით არის ქაიროში. ამბობენ, საფრანგეთი ყოველ ღონეს იხმარს, რომ ინგლისელ ჯარებს და ბრუნება გაუადვილოსო და როგორც სჩანს, ისევ უნდა აღადგინონ ინგლის-საფრანგეთის condominium ისე, როგორც არაბი ფაშის დროს იყო. ფრანგულ ორგანოების კილოს ზომიერება ეტყობა, ინგლისური გაზეთები გაცხარებულად ლაპარაკობენ, ეგვიპტეში არავის არაფერს დავუთმობთო, ერთი მათგანი „დეილი ტელეგრაფი“ აცხადებს კიდევაც, ეგვიპტიდამ ჯარები-კი არ უნდა გამოვიყვანოთ, არამედ უნდა ვეცადოთ, სუდანიც დაიპყრათო.

**ინგლისი** „დეილი ნიუზი» აქამდის ხმა გამქრალი იყო და ეხლა-კი ისიც მოსდგა გერმანიას. ამბობს, რომ გერმანიასა და ტრანსვაალს შორის კავშირი არსებობს და აპირებენ დელაგოას დაპყრობასაო.

„მოსკ. ვედ.“-ს სწერენ ინგლისიდამ, ვითომ ჩემბერლენს ეთხოვოს თავისი მეგობრებისათვის დამეკითხეთ პარლამენტში ინგლისის იმ კრედიტორთა შესახებ, რომელთაც დელაგოას სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის დაუხარჯავთ ფული. ამითო, ამბობს გაზეთი, მინ სტრს უნდა საზოგადოების ყურადღება მიაქციოს ამ საგანზედ და მისი კანონიერი საფუძველი დაანახვოს. როდესაც უმტკიცებდა ჩემბერლენს, რომ ერთად ერთი გზა გვაქვს ეხლა ტრანსვაალთან ბრძოლისათვისაო, ეს ისაო, რომ პორტუგალიის სამფლობელოები დაუსაკუთროთ «სამხრეთ-აფრიკის საზოგადოებას“. კოლონიის მინისტრს ვითომ ამაზედ ეთქვას, ეხლა ინგლისი ისეთს მდგომარეობაშია, რომ ამგვარს საქმეში ვერ შეტოპამს, მაგრამ თუ პორტუგალიას ომი აუტეხა კაფრებმა და ჩამოაცალა ის ადგილები, მაშინ ინგლისი, რასაკვირველია, თავისი სამზღვრების დასაცველად თავს გამოიდებს და ჩაერევა ამ საქმეებშიო. როდესაც, ამბობს გაზეთი, იმ მხარეებში წავიდა, რომლებიც პორტუგალიის სამფლობელოებთან ახლო არისო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ამ უკანასკნელ ხანის სტატისტიკა გვაჩვენებს რამდენი მკვიდრნი ჰყვანან ორი-ვე სქესისა სატახტო ქალაქებს ევროპაში და სხვაგან. აქედამა სჩანს, რომ პეტერბურგში 954,000 მკვიდრია და თუ ზედ-მიწერილ გარეშემოსაც ავიღებთ გამოვა 1,100,000 მკვიდრი. გერმანიის სატახტო ქალაქში ბერლინში—1,600,000 მკვიდრია, ავსტრიის სატახტო ქალაქში ვენაში 1,364,000, უნგრეთის სატახტო ქალაქში ბუდა-პეშტში 500,000-ზე მეტი, საფრანგეთის სატახტო ქალაქში პარისში 3,000,000-მდე, ინგლისის სატახტო ქალაქში ლონდონში 4,500,000 და ზედ მიწერილ გარეშემოთი 6,500,000, ბელგიის სატახტო ქალაქში ბრიუსელში 500,000. დანიის სატახტო ქალაქში კოპენჰაგენში 400,000-მდე, საბერძნეთის სატახტო ქალაქში ათინაში—107,000 ჰოლანდიის სატახტო ქალაქში ამსტერდამში 400,000, ისპანიის სატახტო ქალაქში მადრიდში 470,000. პორტუგალიის სატახტო ქალაქში ლისსაბონში—275,000, იტალიის სატახტო ქალაქში რომში 440,000, რუმინიის სატახტო ქალაქში ბუქარესტში 221,000, შვეციის სატახტო ქალაქში სტოკჰოლმში—250,000, ჩინეთის სატახტო ქალაქში პეკინში 1,650,000, იაპონიის სატახტო ქალაქში ტოკიოში 1,560.000, ოსმალეთის სატახტო ქალაქში კონსტანტინეპოლში 874,000, ეგვიპტის სატახტო ქალაქში ქაიროში—375,000, ბრაზილიის შეერთებულ შტატების სატახტო ქალაქში რიო-დე-ჟანეიროში 525,000, ჩრდილო ამერიკის ვაშინგტონში 230,000, ნიუიორკში (ბრუკლინითურთ) 2,400,000 და ჩვენს ტფილისში 110,000. (პ. ი ლ.).

— რომელი ენაა ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ქვეყნიერობაზე, ამის გამოძიებას შეუდგა ამერიკელი მსწავლული ლილი და ნიუიორკის სამკურნალო აკადემიისათვის წარუდგენია თავისი გამოძიებული. ამ გამოძიებულიდამ სჩანს, რომ ფრანგულს ენაზე 1801 წ. ჰლაპარაკობდნენ ასს კაცში ცხრამეტი (19%) მთელს ქვეყნიერობაზე. 1890 წელს-კი მარტო 12 და ცოტა მეტი (12,7%), გერმანულ ენაზე 1801 წ. ასს კაცში 18 და ცოტა მეტი (18,7%), 1890 წელს იგივე რიცხვი. ინგლისურ ენაზე 1801 წელს ჰლაპარაკობდნენ ასს კაცში 11 და ცოტა მეტი (11,7%) და 1890 წელს კი 27 და ცოტა მეტი (27,7%). ამ სახით გამოდის, რომ ინგლისურ ენით მოლაპარაკე ჰმატულობს მთელ ქვეყნიერობაზე მაშინ, როდესაც გერმანული არა ვრცელდება და ფრანგული-კი ჰკლებულობს. (პ. ი ლ.)

— ერთნაირი ძილია, რომელსაც ქართველები საგათას ძილს (летаргическій сонъ) ეძახიან, ამ ძილით შეპყრობილი ადამიანი სწორედ მკვდარსა ჰგავს და დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ძილით მძინარე მკვდარში გამოარჩიოს. ასე ძნელი გამოსაცნობია, რომ ხშირად ცოცხალი ადამიანი, ხოლო ამ ძილით შეპყრობილი-კი, მკვდრად ჩაუთვლიათ და დაუმარხავთ ცოცხალი. ერთს პატარა სოფელში ტენევილში ერთი ამისთანა მაგალითია თურმე, მაგრამ მეტის-მეტად საოცარი. ერთი ქალი შეუპყრია ამისთანა ძილს და თორმეტი წელიწადია რაც სძინავს და ჰდევს როგორც მკვდარი. აი რასა სწერს ერთი ფრანგული გაზეთი *) ამის თაობაზე: „28 მაისს 1882 წ. მარგალიტა ბენვალისამ, ქალმა ლამაზმა, ჯან-მრთელმა ოც-და-ერთის წლისამ შვილი ჰშობა. მეორეს დღეს შვილი მოუკვდა და თუმცა ბავშვი თავისის მიზეზით მომკვდარიყო, მაგრამ სოფელში რაღაც ჭორები გავრცელდა, ცუდი ხმა და ივევები გაჩნდა. ამ ჭორებმა და ხმამ მოხელეებამდე მიაღწია, სასამართლოს მოხელეთა ყურადღება მიაქციეს და გამომძიებელი გაჰგზავნეს ტენევილში. ჟანდარმები და გამომძიებელი რომ დაუნახავს მშობიარეს, უამისოდაც ღონე მოშლილს შვილის დაკარგვის მწუხარებისაგან, ელდა სცემია, უფრო მოშლილა, გულშემოჰყრია და გაშეშებულა. ამ დღიდამ ესე იგი, 1882 წლიდამ 1894 წლამდე **). მთელი თორმეტი წელიწადი იგი ქალი მძინარე ყოფილა და დებულა როგორც მკვდარი. მარტო ერთხელ ამ ხანის განმავალობაში ამ ქალს ხმა ამოუღია, როცა ძალიან უჩხვლეტიათ ტანში, მაგრამ არ გაუღვიძნია-კი. ბევრი მკურნალი ცდილა როგორმე გამოაღვიძონ, გამოაცოცხლონ ეს ქალი, მაგრამ ვერავინ ვერას გამხდარა: ყოველს ღონეს და სახსარს უქმად ჩაუვლია. საჭმელს, რაც შეიძლება, განგებ აწვეთებენ და ამ გზით ინახვენ ამ ცოცხალ-მკვდარსა. მკურნალებს უნდოდათ სამკურნალოში გადეტანათ ეს ქალი, მაგრამ დედას არ უქმნია. იგი ინახავს ქალიშვილის გვამსა და იმედოვნებს, რომ როცა იქმნება ჩემი ქალი გაიღვიძებსო. ერთს ამერიკელს დიდი ფული შეუძლევია, ოღონდ ნება მომეცი ჩიკაგოში გამოფენაზე ვაჩვენო ეგ მძინარე ქალიო და დედა თუმცა პირველში დასთანხმებია, მერე გადუფიქრებია და უარი უთქვამს. (პ. ი ლ.)

*) გაზეთი République Francaise.

**) ეს 1894 წლის ამბავია და ეხლაც მძინარეა თუ არა არ ვიცით.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 თებერვალი.

(საგანგებო).

**პეტერბურგი.** ტფილისის ვიცე-გუბერნატორი გრაფი ტიზენგაუზენი ერევნის გუბერნატორად იქმნა დანიშნული.

25 თებერვალი.

**პარიზი.** საბიუჯეტო კომისიამ 28 ხმის უმეტესობით უარჰყო შემოსავლის და გვარად დასადგენ გარდასახადის კანონპროექტი და მთავრობას წინადადება წარუდგინა მეორე კანონ-პროექტი წარადგინოს.

**რომი.** გაზ. „იტალ, მილიტ.“-ე იუწყება, რომ იტალიის ჯარებს ადუ-

---

ლის ნეტარ-ხსენებულის გაბრიელისა, რომ მივიღოთ მხედველობაში, თუ რაოდენი ოფლის და სისხლის ღვრა, რაოდენი ბრძოლა სხვა-და-სხვა პირებთან თუ გარემოებებთან სჭირდებოდა მას ჩვენის ინტერესების დასაცველად, მაშინ, უეჭველია, ყველანი მივხვდებით, რომ შესაფერისად და ღირსეულად ვერ დავიფასებია მისი ღვაწლი. შეიძლება ამის მიზეზი თვით განსვენებული მღვდელთ-მთავარიც იყო, რომელიც ერიდებოდა ყოველგვარ პირად ქება-დიდებას, შორს უდგა ყოველ გვარ თაყვანის-ცემას, მაგრამ ის ხომ მაინც ჩვენ ხელთ იყო, რომ მისის სახელით, როგორც ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებელია, დაგვედვა საფუძველი რაიმე კეთილ საზოგადო საქმისათვის.

დაწინაურებულ კვეყნებში გამოჩენილ პირთა ყოველ ნაბიჯს ადევნებენ თვალს, ყოველი მოქმედება, ყოველი სიტყვა მათი აღინიშნება ხოლმე, ჩვენ-კი... ჩვენ ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალების დროც-კი ზედ-მიწევნით, თუ სინამდვილით (სამ სხვა-და-სხვა გაზეთში სხვა-და-სხვა ნაირად იყო აღნიშნული ეს დრო) ვერ ვაცნობენ ქვეყანას, ჩვენში რუსეთის ტელეგრაფის სააგენტომ საჭიროდ არა სცნო ეუწყებინა რუსეთისათვის მისი გარდაცვალების ამბავი, ჩვენ-კი ამ მხრივ არაფერი შევეცადეთ თავისს დროზედ. ის-კი არა, ჩვენში ისეთი პირიც-კი გამოიძებნა, რომელმაც ყველას მიერ საყვარელის გაბრიელის სახელის შებღალვასაც-კი არ მოერიდა... მაგრამ აქ სჯობს დავდუმდეთ, რათა ნათელი და წმინდა სული განსვენებულის მღვდელ-მთავრისა ერთხელ კიდევ არ ავაშფოთოთ იმის გახსენებით, რაც ერთ ვისმესგან ერთხელ თქმულა და მეორეჯერ თქმაც-კი ძნელია. ამით, რასაკვირველია, ჩვენ სრულიადაც არ ვიცავთ იმ აზრს, რომ მსჯელობა ყოვლად სამღვდელო გაბრიელის შესახებ უეჭველად უნდა იყვეს ცალ მხრივი, ესე იგი, არამც და არამც არვინ გაჰბედოს ღირსებასთან ერთად მისი ნაკლულევანების გამომჟღავნება. არა, კრიტიკის დანიშნულებაც ის არის, რომ ყოველი ავ-კარგი ასწონ-დასწონოს და ისე დააფასოს. ხოლო ჩვენ პატივსა ვცემთ და ვთხოულობთ პირუთვნელ კრიტიკას, რომელიც, სამწუხაროდ, მრავალთაგან დავიწყებულია, თორემ უსაფუძვლო და პირადი ინტერესებით გამოწვეული ბრალდება ხომ თავისს თავისვე ბრალდებაა და მეტი არაფერი.

რუსთაველი რომ სხვაგან დაბადებულიყო და რომელიმე საზოგადოებრივ განვითარებულ ერის შვილი ყოფილიყო, აქამომდე მას მრავალი ხელთაქმნილი და ხელთ-უქმნელი ძეგლები ექმნებოდა, ჩვენ-კი მისი „ვეფხვის ტყაოსანი“-ც კი რიგიანად ვერ შეგვისწავლია და გამოგვიკვლევია, თორემ სხვა რაღა საკითხავია. ან კიდევ, ნიკოლოზ ბარათაშვილი რით არ არის ჩვენთვის გამოჩენილი პოეტი, მაგრამ, იცით, რა დაუდევრობა გამოვიჩინეთ მის მიმართ? შარშან ორმოც-და-ათი წელი შესრულდა მის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს-კი არც-კი გაუგია ეს ფაქტი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტფილისში, ისიც გვიან, გარდახდილ პანაშვიდს). ასე შეუმჩნევლად ჩაიარა ამ შესანიშნავმა დღემ. სხვაგან მსგავსი შემთხვევა მთელი საზოგადოების ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ხანს: იბეჭდება მრავალი წერილები, მოგონებანი, ბიოგრაფიული ცნობანი გარდაცვალებულის შესახებ ყველა ჟურნალ-გაზეთებში, სამეცნიერო საზოგადოებებში ჰკითხულობენ მოხსენებას, სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებაში იხდიან პანაშვიდებს და მართავენ სალიტერატურო დილას ან საღამოს, იმართება ხელის-მოწერა ძეგლის ასაგებად და სხ. და სხ. არა, არ ვიცით ღირსეულ მამულიშვილთა დაფასება, ხან-კი, სადაც არ უნდა, გადავაჭარბებთ კიდეც.

გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიებში ჩვენ ვკითხულობთ მრავალ მაგალითებს იმისას, თუ რა ხარისხამდე ადის ამა თუ იმ შესანიშნავი საზოგადო მოღვაწისადმი თაყვანისცემა. გლადსტონის, მეცხრამეტე საუკუნის ამ „დიდებულ მოხუცის“ ბიოგრაფს სხვათა შორის აი რა მაგალითი მოჰყავს: ერთხელ ერთმა ბირმინგამელმა ჩილინგდარმა წერილობითი თხოვნით მიჰმართა გლადსტონს, მაჩუქე შვილის დაქორწინების გამო ნაჭერი თქვენ მიერ მოჭრილ ხისა, რათა ამ ხიდამ მოვამზადო ჩემის შვილისათვის რაიმე ნივთიო. ჩვენ ეს მაგალითი მოვიყვანეთ, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ სამდურავი გამოგვეცხადებია, რატომ მაგ. ყოვლად სამღვდელო გაბრიელის თვითვეულ ხის ნაჭერს არვინ არ ითვლის-თქო, ამით ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გვეთქვა, რომ თუ ხის ნაჭერი არა, მისი ნამოქმედარი, მისი კეთილი საქმენი ჯეროვანად დავაფასოთ, თუ გვინდა დავამტკიცოთ, რომ ის საერთო და იშვიათი სიყვარული, რომელიც მოიხვეჭა განსვენებულმა მღვდელ-მთავარმა ჩვენში, მარტო ფუჭი სიტყვა არ არის. ყოველ ამისთანა გრძნობას საზოგადო მოღვაწისადმი ესაჭიროება თანაბარი რეალური გამოხატულება. თუ შესაფერად ვერ დავსდეთ ფასი მოღვაწეობას ნეტარ-ხსენებულ გაბრიელისას მის სიცოცხლეშივე, ეხლა მის სიკვდილის შემდეგ მაინც ნუ დაგვავიწყდება ჩვენი მოვალეობა მის წინაშე.

ჩვენის აზრით, ამ ჟამად აი რით უნდა ვყოთ მარად სახსოვარ ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სახელი.

ნეტარ-ხსენებულ გაბრიელს იმაზედ უკეთესს ხელთ-უქმნელ ძეგლს ჩვენ ვერაფრით ვერ ავუგებთ, როგორც სტიპენდიების და სასწავლებლების დაარსებით მის სახელობაზედ, რადგან ყველამ კარგად ვუწყით, თუ რა თავდადებული იყო განსვენებული მოსწავლე ახალგაზდობისათვის, რამდენ თავისს ძალ-ღონეს ანდომებდა მთელი თავისი სიცოცხლე სწავლა-განათლების გავრცელებას თავისს სამწყსოში. ამიტომ საჭიროა უწინარეს ყოვლისა შეგროვდეს იმოდენა ხელუხლებელი თანხა, რომლის სარგებლით შეიძლებოდეს რამდენიმე, ან ერთის სტიპენდიის

აში 4,500 კაცი მოუკლესო. აქედამ 3,000 კაცი გენერ. ალბერტონეს ჯარებიდამ დახოცილა; ალბერტონეს ჯარებში 4 ბატალიონს იდგილობრივი მცხოვრებნი შეადგენდნენ და მხოლოდ რამდენიმე განყოფილება იყო იტალიის ჯარებისაო. ჰგონიათ გენ. და-ბორმიდა მოკლული იყოს; ალბერტონე ცხენიდამ დაჰრილი ჩამოვარდა. ხოლო გენერ. არიმონდი მთლად დაიკარგა; სად და როგორ, არავინ იცის.

„კორრი დელლა სერა“-ს სიტყვით, მიზეზი დამარცხებისა მარტო ჯარის-კაცთა ფიზიკურსა და ზნეობრივს მდგომარეობაში არ უნდა მოიძებნოს; აქ მიზეზი ისაც იყო, რომ ჯარები სწორედ არ იყვნენ განაწილებულნი. გენ. ალბერტონეს ბრიგადა თავგამოდებით და ფიცხლად იბრძოდა, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ უთუოდ გაიმარჯვებდნენ; მაგრამ ორის საათის ბრძოლის შემდეგ-კი, როდესაც იტალიის ჯარებს მრავალი ოფიცერი მოუკლეს, ჯარს გული გაუტყდა. ამ დროს ბრძოლის ადგილას მოვიდა მაიორის ბალლის სარეზერვო როტა: როტას გარს ალყად შემოერტყნენ. გენ. და-ბორმიდსი და არიმონდის ბრიგადები ძალიან გვიან-ღა მიეშველნენ მებრძოლთ და შოანელებმა გაჰფანტეს იგინი; ახლა გალლასთა ცხენოსანმა ჯარმა ხომ სულ თავისი დაჰმართა იტალიელს ჯარს. პოლკოვნიკი ვალლენციანოც ბევრს ეცადა ერთის ბატარეისთვის როგორმე თავი მოეყარა, მაგრამ ვერას გახდა; თერთმეტმა ბატარეიამ სულმთლად ვერ მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში. როგორც ხმა დადის, პოლკოვნიკი გალლიანო და გენერალი არიმონდი ტყვედ შეუპყრიათ.

გაზ. „ოპინიონე“ იუწყება, რომ ადიგრატიდამ სამწუხარო ცნობები მოდისო. ციხეს შოანელები გარს არტყიან. გენერალი ბალდისერა იუწყება, რომ ადიგრატის განთავისუფლებლად ეხლა ვეღარას ვიზამო, რადგანაც ციხეში მხოლოდ ერთისთვის საგზალი-ღა მაქვსო. ამ ადგილას მყოფი გარნიზონი, რომელსაც მაიორი პრასტინარი უფროსობს მხოლოდ ერთის ბატალიონისაგან შესდგებაო. ჰფიქრობენ ადიგრატში ბევრი დაჭრილი და გაქცეული ჯარისკაცი იქმნება ამ ჟამად იმ ჯარებიდამ, რომლებიც 18 თებერვალს იქმნენ დამარცხებულნიო.

**რომი.** ის ხმები, რომლებიც იუწყებიან სამინისტრო კრიზისი გარდასწყდაო, ერთი-მეორეს ეწინააღმდეგებიან.

**რომი.** 23 თებერვალს, საღამოთი, ხალხი მანიფესტაციის გამართვას ეცადა პიაცცა დიკოლონნაზე, მაგრამ არავითარი შედეგი არ მოჰყვა ამას.

**კონსტანტინეპოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრი თურხან-ფაშა კრიტოსის კუნძულის ვალათ (გუბერნატორად) იქმნა დანიშნული.

**სოფია.** იუწყებიან, სულთანმა ფირმანს ხელი მოაწერა და ფერდინანდი ბულგარიის თავადად აღიარაო. მარტის შუა რიცხვებში სულთანი კონსტანტინეპოლს მიდის.

**ლონდონი.** „ტაიმს“ აუწყებენ დეპეშით, აბესინელებმა დერვიშებმა კასსალასა და მასსოვას შუა დეპეშით მიწერ-მოწერა სრულიად შესწყვიტესო. შიშობენ, იტალიის 2,000 რაზმი, რომელიც წარსულს კვირას წავიდა ასმარადამ კასსალას მისაშველებლად, მოწყვედილი არ იყოს. როგორც უკანასკნელად მოსულ ცნობებიდამა სჩანს, საკმაოდ დიდი რაზმი დერვიშთა კასსალას თავს დასხმას უპირებს თურმე.

**ლონდონი.** აქაურს დიპლომატიურს წრეებში შესაძლებლად სცნობენ მეფე ჰუმბერტომ ტახტზე უარი სთქვას, რადგანაც არა ჰსურს ერიტრეაზე უარი განაცხადოს და იმავე დროს ჰსურს დინასტია დაიხსნას. მემკვიდრე პრინცი ნეაპოლიტანისა, რომელიც კრისპის მოწინააღმდეგედ იყო დიდხანს, ახალის პოლიტიკის ერას დაიწყებს.

გლადსტონმა განუცხადა «დაილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტს, რომ იგი მეტად შიშობს იტალიის ერთობის დაცვისათვის.

„ტაიმს“-ი ამბობს, რომ იტალიის დამარცხებამ სამთა კავშირი სრულიად შეარყიაო.

26 თებერვალი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: „საყვარელმა მშობელმა ჩვენმა მხოლოდ ბრძნულის მმართველობით, ხმლის ამოუღებლად ჩვენი ძვირფასი სამშობლო დააყენა ბრწყინვალე გზაზედ. აღბეჭდა საუკუნოდ კურთხეული სახელი თვისი ერთგულის ხალხის გულში, მით რომ დაუმკვიდრა მშვიდობა და კეთილი. სახსოვრად დაუვიწყარის მეფე-მშვიდობის მყოფელისა, დღეს მე-51-ე წელს მისი დაბადების შემდეგ ვაარსებთ ვერცხლის მედალს განსვენებულის მეფის სახით, რათა ატარონ გულზე მისი მეფობის თანამშრომლებმა. დაე, იყოს იგი სამარადისო სახსოვრად თვით-მპყრობელი ხელმწიფისა, რომელსაც თავი განწირული ჰქონდა ხალხის კეთილდღეობისათვის“.

ეს მედალი უნდა ატარონ წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენის ლენტზე, სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა, გენერლებმა ოფიცრებმა და ყოველი უწყების მოხელეებმა, ვისაც კი დაუწყია სამსახური წარსული მეფობის დროს და დღემდის მსახურობს.

**რომი.** და-ბორმიდის ლაშქარის უმეტესი ნაწილი გასწყვიტეს. ტყვიებით დახვრეტილმა გენ. და-ბორმიდამ დალია სული თავისი ჯარის-კაცების შუა. პოდპოლკოვნიკმა მილინმა, სიკვდილის წინად დაიძახა: გასწით წინ, ჩემო ალპიის მეომარნო. არიმონდას ბატარეის ოფიცრები მთლად ერთიანად ამოხოცეს. ფიქრობენ, რომ თვით არიმონდაც მოკლულია. 113 ეტლი ბარგით დატვირთული დაიტაცეს შოანელებმა. საომარი სურსათი კი გადარჩინეს. შოანელები ესროდნენ თოფს სანიტარებს და დასჭრეს ექიმები.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. ბ. ბურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. ბ. ბურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

---

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**

---

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—82).

---

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში
ისყიდება საუკეთესო **ხეხილი** ჰაჯი—იზმაილოვის ზაქათალის ბაღიდამ. (1—25—1)

---

ახალი წიგნები.

ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წიგნთ-საცავში შემდეგი გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა:

ღუკმა პურის ამბავი, ანუ აღწერა კაცის აგებულებისა, თხზულება მასესი, თარგმანი ნ. ავალიშვილის მიერ. ფასი . . 60 კ.

ბავშვების მოვლა, კომბისა, თარგმანი ვასილი მაჩაბლის მიერ ფასი . . . . . . . . . . . 40 კ.

მაციხვიტია, რომანი ანტ. ფურცელაძისა ფასი . . . . 40 კ.

აბატი პეტრე ხარისჭარაშვილი, ზ.—ჭ—სა ფასი . . 15 კ.

ლექსნი თქმული მ. ბოჭორიძისა, ფასი . . . . . . . 5 კ.

10—2

---

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!
**ჭიგი ნური**
ბორნო-ციმოეულის საპონი
**გ. ფ. იურგენსისა**
აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღლის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ.,
$^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—7)


მაინც დაარსება სასულიერო აკადემიებში, თუნდა სხვა უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქართველ სტუდენტებისათვის, ან არა და ერთ დროული შემწეობის აღმოჩენა ყოველ წლივ. ამ სახით, ჩვენ დიდ პატივსა ვცემთ განსვენებულის სახელს და მცირე ოდნად ჩვენში არსებულ საჭიროებასაც დავაკმაყოფილებთ.

თუ სტიპენდიებისათვის თანხის შეკრებაში მოვალეა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა მთელმა საქართველომ, დიდით-პატარამდე, იმ ქალაქს, სადაც საყვარელი მწყემსთ-მთავარი 35 წელიწადი განუწყვეტლივ განაგებდა ეპარქიას, განსაკუთრებული მოვალეობა აწევს როგორმე პატივი დასდოს განსვენებულის გაბრიელის სახელს. ქუთაისში, სადაც მცხოვრებელთა რიცხვი 30 ათასს აღემატება, როგორც ვიცით, ქალაქის თვით მართველობას აქვს გამართული მხოლოდ ერთად-ერთი პირველდაწყებითი სკოლა. ჩვენის აზრით, ეს ერთი სკოლა ვერას გზით ვერ გაუძლვება ამოდენა ქალაქის მოთხოვნილებას პირველდაწყებით სწავლაში, მით უფრო რომ უმეტესობა ქალაქის მცხოვრებელთა ღარიბია და სხვა სასწავლებლებში შვილების მიბარების სახსარი არა აქვთ. ამიტომ ძლიერ კარგს იზამდა ჩვენი ქალაქის თვით მართველობა, რომ ამ მოკლე ხანშივე დააარსებდეს მეორე პირველდაწყებით სკოლას ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზედ. ამ სკოლის თავდაპირველ მოწყობისათვის მაინც-და-და-მაინც დიდი ხარჯი არ დასჭირდება, რადგან ამას წინად აქაურ საბჭომ გარდასწყვიტა, რომ ის ფული, რომელიც ქალაქს უნდა დაეხარჯა განსვენებულის ეპისკოპოსის განზრახულ იუბილეისათვის, გადადებულ იქმნას მის სახსოვრად რაიმე საზოგადო საქმისათვის. საზოგადო საქმეც ეს მეორე სკოლა იქმნება.

სასურველია აგრეთვე, ზოგიერთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს, თუ უკვე დაარსებულთ, თუ განზრახულთ, უწოდონ სახელი განსვენებულის მღვდელ-მთავრისა მის სახსოვრად. ჩვენ ნამდვილად ყიკით, რომ ქუთაისში მდაბიო ხალხისათვის მისაწვდომი წიგნთ საცავ-სამკითხველო სწადიანთ ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზედ დააარსონ. ამ მაგალითს რომ სხვებიც მიჰბაძავდნენ, სწორედ დიად საქებარი საქმე იქმნება.

იმ დაწესებულებათ-კი, რომელთ აღორძინება ასე თუ ისე დაკავშირებულია ეპისკოპოსის გაბრიელის სახელთან, ან რომელნიც ჩვენის საზოგადოების თაოსნობით არიან დაფუძნებულნი და ცოტად თუ მეტად ეროვნული ხასიათი აჩნევიათ, საჭიროა იქონიონ საკრებულო ადგილას განსვენებულის დიდი სურათი, რათა მომავალ თაობათა მუდამ თვალ-წინ ჰქონდეთ სახე იმ ადამიანისა, რომელიც ბრწყინვალე მაგალითი იყო ყველასათვის კერძო ცხოვრებაში, თუ საზოგადო ასპარეზზედ, მაღალ გონება-განვითარებით, თუ ზნეობრივ სიფაქიზით. ჩვენ დიდებულ პირთა პანტეონში ერთი გამოჩენილი, საპატიო ადგილი ნეტარ-ხსენებულ გაბრიელსაც უნდა დაეთმოს.

იმერეთის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო გაბრიელზედ მრავალი რამ წერებულა სხვა-და-სხვა დროს თუ ქართულსა და თუ უცხო ლიტერატურაში. ხოლო აქამომდე ქართულ ენაზედ ჩვენ მაინც არა გვაქვს სავსე და დაწვრილებითი აღწერა მისი ცხოვრებისა, არა გვაქვს არც ერთი სერიოზული, ვრცელი გამოკვლევა მისი მოღვაწეობისა, კრიტიკული განხილვა მის სიტყვათა და ქადაგებათა. ამ ნაკლს რომ შეავსებდეს ქუთათური ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა, სწორედ ძლიერ კარგს იზამდა. ამ მიზნით მან უნდა გამოაცხადოს კონკურსი: ვინც უკეთეს ბიოგრაფიას ან რაიმე თხზულებას წარმოადგენს ეპისკოპოსის გაბრიელის მოღვაწეობის შესახებ, მიიღებს ჯილდოთ ამდენს და ამდენს, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილი თხზულება დასტამბული იქმნება ამხანაგობის ხარჯით. ამ გზით ხალხს მიეცემა საშუალება გაიცნოს ჭეშმარიტად და სავსებით ცხოვრება და მოღვაწეობა ამ დიდებულ ადამიანისა, შეიგნოს მისი მნიშვნელობა ჩვენ პირობებში მყოფ ქვეყნისათვის. ხალხი არც ისეთი ბრბოა, რომ სრულიად არ ესმოდეს ავი და კარგი. ხან-და-ხან, პირიქით, იგი უკეთესი მსაჯულია. თუ დაუმტკიცე მას რომელიმე საზოგადო მოღვაწეობის კეთილი შედეგები, თუ ნათლად დაანახვე მისი რაიმე სარგებლობა ქვეყნისათვის, ისიც მაშინ ჯეროვანად დააფასებს ამ მოღვაწეობას, ისიც ეცდება თანაბარი და შეიძლება მეტის პატივითაც მოეკიდოს მას და ამის მზგავს საზოგადო სამსახურს. ამ გვარად, ერთის მხრით, საზოგადო მოღვაწეობას ფასი ედება ხალხის თვალში, მისი ავტორიტეტი ძლიერდება და, მეორე მხრით, საზოგადო მოღვაწესაც გავლენა ემატება და დაუფასებელი არა რჩება. ესეთი მნიშვნელობა ექმნება ყოვლად სამღვდელო გაბრიელის შესახებ წიგნების გავრცელებასაც.

ჩვენ ჩვენის მხრით აქ აღარას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რაში უნდა გამოიხატოს ის პატივი, რომელიც სასულიერო წოდებამ უნდა დასდოს იმერეთის ეპარქიის აწ განსვენებულ მმართველის სახელს. ხოლო საგულვებელია და ჩვენც ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ უკანასკნელი არას დაზოგავს და ყოველ მხრით ეცდება აუგოს განსვენებულ გაბრიელს ისეთი მისი შესაფერი რამ ძეგლი, რომელიც დასტოვებს ჩვენ შორის საუკუნო ხსენებას მასზედ. ის, ვინც სასულიერო პირთათვის ჭეშმარიტი, მოსიყვარულე მამაც იყო, უნიჭიერესი მასწავლებელიც, კაცთ-მოყვარე მზრუნველი, დამრიგებელი, უბედურების დროს დამხმარე და მანუგეშებელი, მხნე და მამაცი მებრძოლი მათი ინტერესების დასაცველად, ვფიქრობთ, განსაკუთრებულის ყურადღების, უუმეტესის სიყვარულის ღირსიც უნდა იყვეს.

გრ. გველესიანი.

# ბ ა ლ ა ნ ს ი

**აქტივი:** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1896 წლის 1-ლ იანვრისთვის. **პასსივი:**

## აქტივი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში . . . . . | 115,209 | 26 | | |
| „ გირაოს ფურცლებად . . . | 135,100 | — | | |
| „ ახალ კუპონების შესაცვლელ ფურცლ. გასაუქმებელ გირავნობის ფურცელთა . . | 35,460 | — | | |
| „ ბანკის გირავ. ფურცელთა ძველ ტალონებად, რომლებიც უნდა გაუქმდნენ . . | 50,500 | — | 336,269 | 26 |
| 2) მიმდინარე ანგარიშებზედ სხვა-და-სხვა ბანკში . | 196,351 | 55 | | |
| 3) ტფილისის სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში | 10,000 | — | | |
| 4) კორესპონდენტებისა: | | | | |
| ს.-პეტერბურგის თამასუქების გამანაღდებელ და გამსესხებელ ბანკში . . . . . | 117,430 | 63 | | |
| ა) ს.-პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში . | 13,408 | 70 | | |
| ბ) მოსკოვის თამასუქების გამანაღდებელ და გამსესხებელ ბანკში . . . . | 5,572 | — | | |
| გ) მოსკოვის საერთაშორისო ბანკში. . . | 207 | 61 | | |
| დ) ს.-პეტერ. საერთაშორისო საკომერციო ბანკში | 2,355 | 50 | | |
| ე) ო. ხიასთან ოდესაში . . . . . | 399 | 30 | | |
| ვ) ვარშავის საკომერციო ბანკში . . . | 3,323 | | | |
| ზ) ძმ. გოლდლუსტებთან . . . . . | 56 | 03 | 349,104 | 32 |
| თ) საწევრო შესატანი ტფილისის სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . . | — | — | 250 | — |
| ი) საწევრო შესატანი ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . . . . | — | — | 60 | 57 |
| 5) კორესპონდენტები გირავნ. ფურცლებით. . | — | — | 722,700 | — |
| 6) ბანკის ფასიანი და გარდამავალი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილ. განყოფილებაში 89,600 . . . . | 84,306 | 92 | | |
| ბ) % ქაღალდები სათადარიგო თანხისა, რომლებიც სახელ. ბანკის განყ. ინახებიან 226,700 | 216,913 | 43 | | |
| გ) სხვა ფასიანი ქაღალდები სახელ. ბანკის განყოფილებაში . . . . 5,000 | 10,067 | 19 | | |
| დ) % ქაღალდები სახელ. ბანკში, გამოსაცემ გირავ. ფურც. უზრუნველსაყოფ. . 567,600 | 560,979 | 50 | | |
| ე) დანარჩენი ფასიანი ქაღალდები. . 50,700 | 50,194 | 21 | | |
| ვ) % ქაღალდები სპეციალურ. მიმდინარე ხარჯზე ტფილის. საკომერციო ბანკში . 2,000 | 2,000 | — | | |
| ზ) % იმათი. . . . . . | 3,077 | 61 | 927,538 | 86 |
| 7) დიდ-ვადიანნი სესხნი, რომელნიც გაცემულ არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით. | | | | |
| ა) მამულის გირაოზედ 54½ წლით 131,004—27 | | | | |
| ბ) „ „ 43½ წლით 77,512—80 | | | | |
| გ) „ „ ქალაქის უძრავ ქონებაზედ 27½ წლით . . . 65,804—61 | 274,321 | 68 | | |
| ვადაზედ გარდახდილი სესხი . 4324—71 | | | | |
| ვადამდე გარდახდილი სესხი . 1253—61 | 5,578 | 32 | 279,900 | — |
| 8) დიდ-ვადიანნი სესხნი, რომელნიც გამოცემულნი არიან ბანკის 17 თებერვალის 1881 წლის წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირ. 61 წ. 8 თვით 2,084,409—12 | | | | |
| ბ) „ „ 48 წ. 8 თვით 10,133—39 | | | | |
| გ) „ „ 43½ წლით 678,951—26 | | | | |
| დ) „ „ ქალაქის უძრავ ქონებაზე 36 წ. 4 თვით . . . 10,078,633—50 | | | | |
| ე) მამულის გირაოზე ქალაქის უძრავ ქონებაზედ 27½ წლით . . . 2,151,513—69 | | | | |
| ვ) მამულის გირაოზე ქალაქის უძრავ ქონებაზედ 29 წ. 9 თვით . . 42,832—92 | | | | |
| ზ) მამულის გირაოზე ქალაქის უძრავ ქონებაზედ 19 წ. 11 თვით . . 158,188—08 | | | | |
| ?) მამულის გირაოზე ქალაქის უძრავ ქონებაზედ 54 წ. 6 თვით . . . 22,215—10 | 15,226,927 | 06 | | |
| ვადაზედ გარდახდილი სესხი . 108,065—70 | | | | |
| ვადამდე გარდახდილი სესხი . 46,407—24 | 154,472 | 94 | 15,381,400 | — |
| 9) სესხნი, გასაცემად დანიშნულნი . . . | — | — | 115,600 | — |
| გირავნ. ფურცელნი, რომელნიც გამოცემულნი არიან კონვენც. სესხით . . . . | — | — | | |
| 10) გარდასახადი, რომელსაც ჰქონდა ვადა | | | | |
| ა) დიდ-ვადიანს სესხზედ . . . . . | 397,453 | 04 | | |
| ბ) მცირე ვადიანს სესხზედ . . . . | 5,683 | 57 | | |
| გ) ვადაზე განაწილებული შესატანი . . . | 6,646 | 74 | | |
| 11) ვადას გადაცილებული შესატანი . . . | 18,482 | 63 | 428,264 | 98 |
| ჯარიმა ვადაზე შესატანის დაგვიანებისათვის . | — | — | 8,302 | 79 |
| 12) მცირე-ვადიანი სესხნი . . . . . | — | — | 250,888 | — |
| 13) საკომისიოდ მიღებული გირავნ. ფურც. 81,400 | — | — | 74,740 | 37 |
| 14) დასაბრუნებული ხარჯი . . . . | — | — | 56,820 | 68 |
| 15) კუპონები ვადამდე გარდახდილი . . . | — | — | | |
| 16) 5% სახელმწიფო გარდასახადი კუპონებისა . | — | — | | |
| 17) კუპონებსა და ტირაჟში გამოსულ გირ. ქაღალ. გარდახდილი ფული . . . . . | | | 9,039 | 28 |
| 18) ხარჯი: . . . . . . . | | | 29,771 | 28 |
| ა, ბანკის მომართვა მოწყობისათვის . . . | | | 2,025 | 97 |
| ბ, გამგეობა-მმართვისათვის . . . . | | | | |
| 19) ტფილ. სათავ.-აზნ. და წინამძღვარიანთ კარის სამეურ. სასწავ. ხარჯი, რომელიც დაბრუნებ. უნდა იქმნეს საზოგადოების თანხიდამ . . | | | | |
| **ბალანსი** | | | 18,972,676 | 36 |

## პასსივი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის თანხა: | | | | |
| ა, დიდ-ვადიან სესხისათვის . . . | 190,085 | 29 | | |
| ბ, მცირე ვადიან სესხისათვის . . . | 233,478 | 63 | 423,563 | 92 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა, სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით . . . . . | 32,051 | 21 | | |
| ბ, ურთიერთთ შორის თავდებობით გაცემულის სესხისა . . . . . . | 194,121 | — | 226,172 | 21 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის: | — | — | 1,000 | — |
| 4) „ „ ზედამხედველ კომიტეტის ხელშია | — | — | 131 | — |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა . . . . | — | — | 8,563 | 23 |
| 6) გირავნობის ფურც., რომლებიც დასახურდავებლად გამოცემულნი არიან 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით. | | | | |
| 54½ წლით . . . . . | 132,600 | — | | |
| 43½ წლით . . . . . | 78,100 | — | | |
| 27½ წლით . . . . . | 69,200 | — | 279,900 | — |
| 7) გირავნობის ფურცლები, რომელნიც ურთიერთთ შორის ნდობით გამოცემულნი არიან უძრავ ქონებათა გირაოდ მიღებით. | | | | |
| 6%-იანი 43½ წლით . . . | 566,450 | — | | |
| 6% — 27½ წლით . . . | 1.609,250 | — | | |
| 5% — 61 წ. და 8 თვით . . | 91,900 | — | | |
| 5% — 48 წ. და 8 თვით . . | 6,300 | — | | |
| 5% — 36 წ. და 4 თვით . . | 989,700 | — | | |
| 5% — 29 წ. და 9 თვით . . | 26,100 | — | | |
| 5% — უვადოთ . . . . | 11.979,200 | — | 15.268,900 | — |
| 8) გირავნობის ფურც. ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არა ვალდებულის თავნის გარდახდისათვის . . . . . | — | — | 112,500 | — |
| 9) გამოსაცემი გირავნობის ფურცლები . | — | — | 115,600 | — |
| „ „ ექსპედიციისაგან გამოცემულნი | — | — | 6,900 | — |
| 10) გირაოს ფურცლები მიბარებულნი შესანახად | | | 2,200 | |
| 11) ვადამდე მოსასპობლად დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა, გირავნობის ფურცლებით . . . | 176,700 | — | | |
| ბ, ნაღდის ფულით : . . . | 47,660 | 85 | 224,360 | 85 |
| 12) ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები, ჯერედ წარმოუდგენელი გარდასახდელად . | | | | |
| 6% . . . . . | 403,100 | — | | |
| 5% . . . . . | 214,900 | — | | |
| 6% გირავნობის ფურც., 1-ლ კონვერ. ტირაჟში გამოსულნი . . . | 25,800 | — | | |
| „ „ „ „ 2-სა „ . | 163,600 | — | 807,400 | — |
| 13) გირავნ. ფურცელთა გადასახდელი კუპონები: | | | | |
| 6% . . . . . | 79,205 | 60 | | |
| 5% . . . . . | 332,250 | 50 | 411,456 | 10 |
| 14) სარგებლის ფონდი: | | | | |
| 6% . . . . . | 74,289 | — | | |
| 5% . . . . . | 327,330 | — | 401,619 | — |
| 15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი (არა ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულის სესხისა.) | | | | |
| 54½ წლით . . . . . | 622 | 93 | | |
| 43½ წლით . . . . . | 775 | 33 | | |
| 27½ წლით . . . . . | 2,926 | 45 | 4,324 | 71 |
| 16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით. | | | | |
| 6%—43½ წლით . . . . | 2,945 | 77 | | |
| 6%—27½ წლით . . . . | 28,273 | 87 | | |
| 5%—61 წ. 8 თვით . . . . | 159 | 56 | | |
| 5%—48 წ. 8 თვით . . . . | 43 | 47 | | |
| 5%—36 წ. 4 თვით . . . . | 6,405 | 10 | | |
| 5%—29 წ. 9 თვით . . . . | 196 | 77 | | |
| 5%—უვადოდ . . . . . | 70,041 | 16 | 108,065 | 70 |
| 17) თავნის გასასტუმრებელი ფონდი არა-სავალდებ. გარდას. იმ გირავ. ფურც., რომელნიც ურთ. შორის თავდებ. პირობებით არიან გაცემულნი | — | — | 65 | — |
| 18) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა, ნაღდ ფულად . . . . . | 36,037 | 92 | | |
| ბ, იანვარში 1896 წლ. შესატანი . . | 430 | 31 | | |
| გ, გირავნობის ფურცლებით . . . | 196,100 | — | | |
| დ, სახელმწიფო % ქაღალდებით . . | 5,500 | — | 238,068 | 23 |
| 19) კორესპონდენტნი . . . . . | — | — | 3,803 | 70 |
| 20) მსესხებელნი . . . . . | — | — | 8,722 | 82 |
| 21) წმინდა მოგება . . . . . | — | — | 225,551 | 39 |
| 22) 5% გარდასახადი 60% წმინდა მოგებიდამ . | — | — | 6,975 | 82 |
| 23) კუპონების ახალი შესაცვლელი ფურცლები . | 35,460 | — | | |
| 24) ძველი გასაუქმებელი ტალონები . . . | 50,500 | — | 85,960 | — |
| 25) 5% გარდასახადი კუპონებზედ . . . | — | — | 872 | 68 |
| **ბალანსი** | | | 18.972,676 | 36 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 26-го Февраля 1896 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.